ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

ზამთრის სეზონისათვის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სათბობი საშუალებით უზრუნველყოფის, მოსახლეობისათვის ელ. ენერგიის და ბუნებრივი აირის უწყვეტ რეჟიმში მიწოდების კუთხით ჩატარებული მუშაობის შესახებ

2020-21 წლის ზამთრის სეზონზე მოსახლეობის ელ. ენერგიით, ბუნებრივი აირით და სათბობი შეშით უზრუნველყოფის მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიამ შესაბამისი უწყებებიდან გამოითხოვა.

- ❖ შპს ,,სოკარ ჯორჯია გაზის“ ბაღდათის სერვისცენტრის ინფორმაციით, 2020-21 წლების ზამთრის სეზონზე მოსახლეობისათვის ბუნებრივი აირის უწყვეტ რეჟიმში მიწოდების მიზნით ჩატარდა მთელი რიგი სამუშაოები:
- ✓ წარმადობის გაზრდის მიზნით, შეიცვალა მე-16 საუბნო აღრიცხვის კვანძი, რითაც ბუნებრივი აირის გამართულად მიწოდება მოხდება ქალაქ ბაღდათში: მეგობრობის, ნინოშვილის და ბაღდათის ქუჩებზე, სოფელ ზედა დიმის ნაწილში, სოფელ დაფენილში, სოფელ წყალთაშუში და სოფელ წაბლარასხევში.
- ✓ სოფელ ვარციხეში კოროზირებული ლითონის გაზსადენი პოლიეთილენის ახალი გაზსადენით შეიცვალა, რომლითაც შესაძლებელია წნევის რეგულირება. რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს ბუნებრივი აირის უწყვეტად მიწოდებას.
- ✓ აღრიცხვის კვანძებში შეიცვალა ფილტრები.
- ✓ გამოტოვებულ ჩიხებში გაკეთდა ახალი გაზსადენები.
- ✓ შემოწმებული და მოწესრიგებულია სკოლებისა და ბაგა-ბაღების გაზმომარაგება და უსაფრთხოება.

ასევე, გაზმომარაგების შეუფერხებლად მოწოდების მიზნით დაგეგმილია, ფილტრის კვანძი დამონტაჟდეს ცენტრალურ გაზსადენზე. ხოლო სოფელ დიმში, ვარციხეში და ფერსათში პარალელურ რეჟიმში განხორციელდეს გამოტოვებული ჩიხების გაზიფიცირება.

- ❖ აღნიშნულ სეზონზე საშეშე მერქნით ბაღდათის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის საშეშე მერქნით უზრუნველყოფისათვის გამოყოფილია 23 ტყეკაფი, მოცულობით 3581 კბ.მ. 2019 წლის მომქმედი ტყეკაფებიდან ნაშთი შეადგენს 1075 კბ.მ. სულ მიმდინარე წელს გასაცემი მერქანი შეადგენს 4656 კბ.მ.

შეშის დამზადების მიზნით, ბილეთი გაიცემა არაუმეტეს 7 $მ^3$ საშეშე მერქანზე. ბილეთის ღირებულება 1$მ^3$ ფოთლოვანი ჯიშის საშეშე მერქანზე (წიფელა, რცხილა) შეადგენს 6 ლარს (რომელიც შეიცავს მომსახურების თანხასაც - 3 ლარი), გამონაკლისია თხმელა (მურყანი), რომლის 1 $მ^3$ მოცულობის საშეშე მერქნის ფასი 5 ლარია.

ყოველწლიურად, წინა წლებთან შედარებით, შეინიშნება საშეშე მერქნის რესურსის მოხმარების კლება რაც ბუნებრივი აირის მოხმარების გაზრდითაა განპირობებული. დღეის მდგომარეობით ათვისებულია 437 კბ.მ საშეშე მერქანი, ბაღდათის მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო ორგანიზაცია, რომელმაც საშეშე მერქანის მოთხოვნაზე ხელშეკრულება გააფორმა, დაკმაყოფილებულია.

- ❖ თავის მხრივ, ზამთრის სეზონის მზადყოფნისათვის გარკვეული სამუშაოები ჩაატარა ელექტროენერგიის მომწობელმა კომპანიამ ,,ენერგო-პრო ჯორჯია“-მ.

კერძოდ:

- ✓ სოფელ დიდველასა და როკითში მაღალი ძაბვის ქსელში 8000 მეტრი უვარგისი ალუმინის სადენი ახლით შეიცვალა; ყველა სატრანფორმატორო პუნქტში ძლიერი ძაბვის უჯრედებში გაკეთდა სტანდარტული მცველები; დამონტაჟდა რექლუზორი (ანუ ვაკუმურ ამომრთველი), რომელიც გაცილებით გაადვილებს დაზიანების უბნის დადგენას; სოფელ როკითში დაბალი ხაზის ძაბვის 15 დაზიანეული ხის საყრდენი რკინა-ბეტონის საყრდენით შეიცვალა.
- ✓ სოფლებში: საკრაულა- ზეგანი -ზედა დიმი მაღალი ძაბვის მაგისტრალში დამონტაჟდა ორი სახაზო გამთიშველი; სოფელ ზეგანსა და საკრაულაში რკინა-ბეტონის 6 ახალი ბოძით შეიცვალა ხის უვარგისი საყრდენები და გაიჩეხა 1500 მეტრი მოკვეთი; სოფელ ზედა ზეგანში - ქურდაძეების უბანში გამოიცვალა დაზიანებული ტრანსფორმატორი.
- ✓ I და II ობჩაში მაღალი ძაბვის მაგისტრალზე რკინა-ბეტონის 5 ახალი საყრდენი დამონტაჟდა და გაიჩეხა 2000 მეტრი ქსელი. ასევე, ბურჯანაძეების უბანში შეიცვალა ტრანსფორმატორი.
- ✓ სოფლებში: ფერსათი- შუბანი- წითელხევი, მაღალი ძაბვის ქსელში დამონტაჟდა ახალი სახაზო გამთიშველი და 7 რკინა-ბეტონის საყრდენი. 12 საყრდენი შეიცვალა ასევე, დაბალი მხარის ძაბვის ქსელში სოფელ ფერსათში, ხოლო სოფელ წითელხევში ახლით შეიცვალა 2 დაზიანებული ტრანსფორმატორი.
- ✓ სოფელ ვარციხეში გაშენდა მაღალი ძაბვის ახალი განშტოება, რისთვისაც 25 ცალი რკინა-ბეტონის ბოძი დამონტაჟდა და 2800 მეტრი ახალი ალუმინის სადენი გაიმართა. ასევე, არსებულ მაღალი ძაბვის მაგისტრალზე დამონტაჟდა რექლუზორი (ვაკუმური გამთიშველი).
- ✓ ქალაქ ბაღდათში წერეთლის და თამარ მეფის ქუჩებზე დამონტაჟდა 3 რკინა-ბეტონის საყრდენი.
- ✓ მუნიციპალიტეტის მასშტაბით არსებული ყველა პუნქტი შემოღობილია სტანდარტული მასალით.

აღნიშნული სამუშაოები ამჟამადაც გრძელდება და ზამთრის დადგომამდე კვლავ ეტაპოვრივად განხორციელდება.

07.10.2020